

საქართველო

П Е Л О

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ
სპორტულ საზოგადო-
ებათა და ორგანიზა-
ციების კავშირის ცენტრის
პროფკავშირთა საქა-
რთველურ რუსულ-
ქართულ საბჭოს ორგანო



ჩვენი მიმართვა უკან უსოდ არ უნდა დარჩეს

ჩვენ მესამედ მოგმართავთ ღია წერილით, ძვირფასო ამხანაგებო!

და ეს წერილი გვინდა დავიწყოთ კონკრეტული ფაქტით.

ეს მოხდა 1957 წელს, საკავშირო შეჯიბრებაზე. ჩვენ გვარებს არ დაეასახლებთ, რადგან ამ შემთხვევაში ეს საჭირო არ არის. მოხდა მეტად სამწუხარო ფაქტი; ჩვენ რესპუბლიკის გუნდს უმეტესად ერთმა სპორტსმენმა, ის ჯერ „გაიბუტა“, მთელი დატვირთვით არ იბრძოდა საერთო გამარჯვებისათვის, ხოლო შემდეგ საერთოდ აარიდა თავი ბრძოლას. ერთ-ერთი მისი ეს კაპრიზი ჩვენს გუნდს დამარცხებდა დაუჯდა.

მოხდა ასეთი ფაქტიც: ერთი ჩვენი სპორტსმენი უცხო ქალაქში ჩასვლიდან „გაერთო“, „ალარ გაახსენდა“ ის, რომ მას თავისი გუნდის ინტერესები უნდა დაეცვა, რომ თვით ეს გუნდიც თავისი მშობლიური რესპუბლიკის ღირსებას იცავდა. და არ გამოცხადდა სტარტზე — მომგებიანი ქულების ნაცვლად საჯარო ქაღალდი მისცა გუნდს, მკვეთრად უკან დასწია იგი და ამით რესპუბლიკაც შეარცხვინა.

ამგვარი ამბების გამოვლინების მიზეზად ჩვენში, სპორტულ წრეებში აღმზრდელით მუშაობის სისუსტეს მიიჩნევენ. სპორტსმენთა შორის აღმზრდელით მუშაობის ფორმები უამრავია, მაგრამ, როგორც ეს თქვენც მოგახსენებთ, ყველაზე უფრო ქმედითი ძალა მათ შორის აქვს არა კამპანიურ, ან კიდევ რაიმე ბიუროკრატიული „გეგმებით“ გათვალისწინებულ ფორმებსა და ღონისძიებებს, არამედ ბუნებრივს, ხალასს, უშუალოდ ადამიანის გულიდან ამომავალსა და სხვა ადამიანის გულამდე ჩამწვდომს. ასეთთა შემოქმედნი და ავტორნი კი, უპირველესად ყოვლისა, თქვენა ხართ. ძვირფასო მწერლებო, კომპოზიტორებო, მხატვრებო, თეატრალური და კინოხელოვნების მუშაკებო!

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ჩვენ გვინდოდა გვეთქვა, რომ ყველაზე დიდი ვალი და თუ გნებავთ, ყველაზე დიდი მორალური პასუხისმგებლობაც მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით, ჩვენს სპორტსმენთა შეგნებასთან, თავდაპირველობასთან და ამა თუ იმ მორალურ თვისებათა გამოვლინებასთან დაკავშირებით, თქვენ გვეკისრებათ! ამიტომ იყო, რომ უკანასკნელი წლების

**ღია წერილი
რესპუბლიკის
ლიბერალური და
სოციალისტური
კავშირების მუშაკებს**

მანძილზე უკვე რამდენჯერმე მოგმართეთ, ძვირფასო ამხანაგებო! ამიტომ იყო, რომ გთხოვდით: შეეჯიბროთ ერთმანეთს, ერთმანეთის ინტერესებისათვის და ერთმანეთის სასახელოდ, თქვენ — მხატვრული სიტყვის, ფერწერის, მუსიკის, კინოს, თეატრისა და სხვა სფეროებში, ჩვენ — მწვანე მინდვრებზე, სხვადასხვა სპორტულ მოედნებზე, სხვადასხვა ასპარეზობებში.

ჩვენი ბუნებრივი და სიჭაბუკის გამოცდილებით ვიცით, თუ რა წარუშლელად ჯდება მომავალი სპორტსმენის გონებაში შთაბეჭდილებანი, რომლებსაც ისინი თავიანთ სულიერ სამუშაოსთან ანალოგიურ თვისებების გამომუშავებას ეძებენ საფუძვლად. მხატვრული სახის ნიმუშზე არა ერთი და ორი კეთილი თვისება, ნათელი მორალური მხარე დაბადებულია იმ სპორტსმენთა სულში. გამარჯვებათა მოპოვების ყინით, თავისი ხალხის ვეჟაკური სახელისა და სპორტული ღირსების დაცვის მზადყოფნისათვის არა ერთი და ორი სპორტსმენი გაუმსჭვალავს რ. ლალიძის „საქიდაოს“!

ჩვენ არ გვინდა შორს წაყვეთ ამგვარი მაგალითების ჩამოთვლას, ვინაიდან ყველაფერი ეს ნათელია და ამის ნამდვილი ფასიც ყველაზე კარგად თქვენ მოგხსენებთ. მაგრამ, ჩვენ გვინდა, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი უფრო ახლოს იდგეთ ჩვენი სპორტსმენების ცხოვრებასთან, უფრო ღრმად — და არა მხოლოდ შეჯიბრების მაყურებელთა თვალთ — იხედებოდით მასში და თქვენი ნიჭით, უნარით, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით საკუთარი წვლილი შეიტანდით ჩვენი სპორტსმენების აღზრდაში, მათს საბრძოლო მონღოლებში, მათს გამარჯვებაში.

ჩვენ ველით ამ წვლილს! ჩვენ ველით თქვენს ახალს, გაცილებით უფრო მეტს და უფრო ღრმად, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს ჩვენს ცხოვრებაზე, ჩვენს მისწრაფებებზე. ჩვენს წყინასა და სიხარულზე, შუქსა და ჩრდილზე! და ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ბოლოსდაბოლოს, ჩვენი მომართვა უკანსუხოდ არ დარჩება.

რესპუბლიკის სპორტსმენთა სახელით: **ო. შორშია, რ. შავლაშაძე, მ. ჯუღელი, ა. ჭორიძე, ა. ლომოვარიძე, შ. იამანიძე, ვ. ბალაშაძე, ჯ. მამხარიაშვილი, კ. წაჩაძე და სხვანი.**

ჩოგბურთის კორტებზე

ი. რიაზანოვა — გამარჯვებული შორის

მოსაოვი. აქ გრძელდება „ღინამოს“ სტადიონის დახურულ კორტებზე საინტერესო საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში.

ახალგაზრდა თბილისელი ჩოგბურთელი რენა აბეანდაძე შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდის წევრს პ. ვალისს. პირველი პარტია დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოიგო თბილისელმა — 7:5. შემდგომში რ. აბეანდაძე კიდევ უფრო დამაჯერებლად თამაშობდა და მიიღწია გამარჯვებას ანგარიშით — 6:3.

ნ. მინარიშვილმა (თბილისი) დამარცხება განიცადა მოსკოველ ე. გეორგოვთან შეხვედრაში — 4:6, 3:6, 5:7. წააგო შეხვედრა მეორე თბილისელმა ჩოგბურთელმა ა. ვერულავამაც ტალინელ თ. ლეუსთან შეხვედრაში. ანგარიშია 6:3, 7:5, 6:2 ლეუსის სისარბებლოდ.

შერეულ წყვილთა შორის კარგი თამაში აჩვენეს თ. ლეუსმა და ცნობილმა თბილისელმა ჩოგბურთელმა ი. რიაზანოვამ, მათ ანგარიშით 3:6, 6:1, 6:1 დამარცხეს ძლიერი წყვილი გ. ბაკშევვა (კიევი) — კოლობოვი (მოსკოვი).

ი. რიაზანოვამ მოუგო საფრანგეთის საუკეთესო ჩოგბურთელს ე. დელა პეტრისს და გავიდა ნახევარფინალში, სადაც მასთან ერთად იმყოფება აგრეთვე პრეობრაჟენსკაია.

წყვილთა შორის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ლიზინოვა და მოსერეა.

თოვლი მოვიდა თბილისში



ს ს ს

2 მარტს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კლუბში ჩატარდება საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს VII

კ ლ ე ნ უ მ ი

დასაწყისი 12 საათზე.

კ. წაქაძე — მეორე ადგილზე

ზაკოვანში დამთავრდა მოთბილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც მიძღვნილია პატრიოტი სპორტსმენების ბ. ჩეხოსა და ე. მარუსაიის ხსოვნისადმი.

ტრამპლინიდან ხტომაში შეჯიბრებას ლიდერობდა საბჭოთა სპორტსმენი კ. წაქაძე. შეჯიბრების ბოლო დღეს მან ბრწყინვალედ შეასრულა პირველი ნახტომი — 99,5 მ. მაგრამ მეორე ცდაზე აჩვენა გაცილებით ნაკლები შედეგი — 92 მეტრი. იტალიელმა მოთბილამურემ დე ძორლომ ამ დღეს ორივე ნახტომი თანაბარი სიძლიერით შეასრულა (შესაბამისად 97 და 98 მ).

საბოლოოდ დე ძორლომ დააგროვა 449,5 ქულა და გამდიდა პირველ ადგილზე. კ. წაქაძე 446,4 ქულით მეორე ადგილზეა.

პირველი ღღის შემდეგ ნ. შამოვი (სსრ კავშირი) იმყოფებოდა მე-10 ადგილზე, მაგრამ მან საუკეთესოდ შეასრულა ბოლო ორი ნახტომი (100 და 97 მ) და დაიკავა მესამე ადგილი.

მოსკოვში საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საქადრაკო კლუბში მსოფლიო ჩემპიონმა მ. ტალმა და ყოფილმა ჩემპიონმა მ. ბოტკინიკმა ხელი მოაწერეს 1961 წლის 15

ჩეხანში — 15 მარტს

მარტს მატჩ-რევანშის დაწყების შეთანხმებას. მატჩ-რევანშში გათამაშდება 24 პარტია. შეჯიბრების მთავარ არა

ბიტრად საერთაშორისო საქადრაკო ფედერაციამ დაამტკიცა შედეგი გროსმაისტერი გ. შტალბერგი. მატჩ-რევანში გამართება ესტრადის ახალ შენობაში, რომელიც 1,500 მაყურებელს იტევს.

მ ს თ ი ტ ს ა ლ ა ბ ი ნ ა ზ ლ ა უ რ ლ ი ბ ა თ

გამოვიცდიათ ალბათ ცოცხალ-ში ჩასვლით გამოწვეული გრძნობა — პირველად არ გესიამოვნებათ, შეგაურთოლებთ, მაგრამ შემდეგში სხეული გარემოს ეჩვევა, უსიამოვნების გრძნობა საამო სითბოთი იცვლება და წყლიდან ამოსვლაც აღარ გინდათ.

დაახლოებით ასე მოგვივიდა ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეცხრე ბრიგადის ქალებს — პირველად მარტო საწარმოო ტანვარჯიშის ხსენებაც კი უსიამოვნო გრძნობას იწვევდა ჩვენში. გვეგონა, რომ სამუშაო საათებში ვარჯიშის ჩართვა დროის უქმად დაკარგვასა და გამომუშავების შემცირებას გამოიწვევდა.

ესეც არ იყოს, პირადად მე საწარმოო ტანვარჯიშში ჩემი ასაკის ქალისათვის შეუფერებელ საქმედ მიმაჩნდა. ამ აზრს ამხანაგებიც იზიარებდნენ და პირველად ყოველწლიურ მიზნებს ვხმარობდით, რომ ვარჯიშისათვის თავი აგვერიდებინა.

ასე გაგრძელდა ხანამ დირექციამ სპეციალური მითითება არ მოგვცა. 1960 წლის მაისიდან რეგულარულ ვარჯიშს შევუდგეთ.

შედეგმა არ დააყოვნა და ჩვენ საკუთარ ორგანიზმზე გამოვცადეთ საწარმოო ტანვარჯიშის დადებითი გავლენა: ჩაის კრეფის დაწყებამდე 10 წუთით ადრე სპეციალური ვარჯიშების ჩატარების შედეგად ორგანიზმი ადრე ფხიწლდებოდა და თუ მანამდე დილის საათებში 10-12 კილოგრამ ჩაის ფოთოლს

ვკრეფდით, ახლა 15-18 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფვაც აღარ გვიძნელებოდა.

საგრძობლად გაუმჯობესდა მოკრეფილი ფოთლის ხარისხიც: დასვენებული თვალი ადვილად პოულობდა ნორმალურ დუყებს და პარალელურად გამომუშავებაც იზრდებოდა.

ამის შემდეგ გასაკვირი არაა, რომ არც ერთი ჩვენგანი ვარჯიშს არ აცდენდა და დღის მეორე ნახევარშიც სიამოვნებით მონაწილეობდა ფიზკულტურაში, რომელიც სამუშაო დღის დამთავრებამდე გვინარჩუნებდა ენერჯისა და ხალისს.

საერთოდ, ჩაის კრეფა ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს და მომქანცველად მოქმედებს ორგანიზმზე, ვარჯიშის შესრულების შემდეგ კი სადამობოთ დაუღლეად ვბრუნდებით შინ და გამომუშავებაც სხვა ბრიგადის წევრებზე მეტი გვქონდა.

კარგი იქნება, თუ სხვა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა ჩაის ფოთლის მკრეფავებიც გადაიღებენ ჩვენს გამოცდილებას. ამით ისინი საწარმოო ტანვარჯიშზე დასარქულ 15-20 წუთის საფასურს რამდენადმე აინაზღაურებენ საკუთარი ჯანმრთელობის შენახვითა და შრომის ნაყოფიერების ზრდით.

ნ. მადლსკელიძე,
ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეცხრე ბრიგადის მუჩაიე.

აი, ასეა ყოველთვის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში. წუთით წყდება მუშაობა, მეჩაიეები აკეთებენ მათთვის განკუთვნილ ვარჯიშს, კუნთები იკრებენ და ნაყოფიერი ხდებიან.

ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დანერგილმა საწარმოო ტანვარჯიშმა გარკვეული ნაყოფი გამოიღო — მშრომელთა ფიზიკურად გაკაუებასთან ერთად აამაღლა შრომის ნაყოფიერება. გავიზიაროთ ოჩხამურელთა თაოსნობა, გავავრცელოთ ყველგან ეს სასარგებლო საქმე!



სასარგებლო და ხელსაყრელია

რაიმე სიახლის დანერგვა ყოველთვის სარისკოა, მაგრამ ამჯერად ჩემს წინ მეცნიერულად დასაბუთებული და მრავალჯერ გაზომილი აწარმო ვარჯიშთა კომპლექსი რომ დავინახე, საქართველოს ფიზკულტურის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებს ა. დოკაძესა და ზ. ბაღდავაძეს უყოყმანოდ დავუთმე საექსპერიმენტოდ ჩვენი მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო ბრიგადა.

მეცნიერ მუშაებს მხარში ამოუდგა აგრძობის მყარად შეიანიძე, რომელიც მათ მუშაობის აღრიცხვაშიც ეხმარებოდა და ვარჯიშებსაც განუმარტავდა მეჩაიეებს. უნდა ითქვას, პირველ ხანებში ეს საქმე გამძინელდა: ქალები სათამაშოებზე გაუბრუნდნენ ვარჯიშს და მხოლოდ დიდი აგიტაციისა და თვალსაჩინო პლაკატების გაცნობის შედეგად დაიწყეს რეგულარულად ვარჯიში.

მეცხრე ბრიგადის წევრები (სულ 31 ქალი) მუშაობის დაწყებამდე ათობდნენ წუთით ადრე ასრულებდნენ ვარჯიშთა კომპლექსს და შემდეგ ზუსტად მ საათზე იწყებდნენ ჩაის კრეფას, ვარჯიშის შედეგად ისინი თავიდანვე შედიოდნენ მუშაობის ოპტიმალურ რიტმში, რაც საგრძობლად ზრდიდა გამომუშავების რაოდენობასა და ხარისხს.

დანარჩენ მკრეფავთაგან განსხვავებით მათ ორ საათამდე უგრძობლდებოდათ სასადილო შესვენების ვადა, ისინი სამუშაოს მეორე ნახევარს დასაწყისშიც ვარჯიშობდნენ და მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღის განმავლობაში სხვაზე თითქმის ორი საათით ნაკლებს მუშაობდნენ, დანარჩენი ბრიგადების წევრებზე მეტ ჩაის ფოთოლს კრეფდნენ.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი. დ. პავლუშინას ბრიგადამ საწარმოო დავალება 131,9 პროცენტით შეასრულა და მისმა თვითუღმა წევრმა პეტრარზე საშუალოდ 7.622 კილოგრამი ჩაის ფოთლი მიიღო. ა. ადგიშვილის მოწინავე ბრიგადამ საწარმოო დავალება 117,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო ბრიგადის წევრებმა პეტრარზე საშუალოდ 6.689 კილოგრამი მიიღეს.

როგორც ხედავთ, საწარმოო ტანვარჯიშის საშუალებით ერთი ბრიგადის წევრებმა სხვა ბრიგადის ჩაის მკრეფავებს საშუალოდ ათასი კილოგრამი ჩაის ფოთლის მიღებით გადააჭარბეს, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

ექსპერიმენტი გამართლდა. ფიზკულტურის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა თავიანთი ვალი მოიხადეს და წავიდნენ. დარჩა მხოლოდ ცდების შედეგად დატოვებული თვალსაჩინო მაგალითები და ფაქტები. ახლა საქართველოში ბრიგადის ექსპერიმენტის (ან უფრო სწორად გამოცდილების) განზოგადება და გადატანა დანარჩენ ბრიგადებში.

ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობათა ტრესტთან შეთანხმებით მეურნეობისათვის ავიყვანთ ფიზკულტურის ინსტრუქტორს, რომელიც ადგილობრივი კადრების დახმარებით დანერგავს საწარმოო ტანვარჯიშს მეურნეობის ყველა ბრიგადაში.

მ ს კ ე თ ლ ე ბ ა ა ლ ა მ ი ა ნ თ ა კ მ თ ი ლ ღ ლ ე ო ბ ი ს ა თ ვ ი ს

მაქანა ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე მიქროდა. ფიქვების ხეივანში გაწოლილი გზატკეცილის ორივე მხარეს გადაშლილმა ჩაის ხეებმა თავისი მშვენიერებით თვალი მოგვტაცა და საუბრის ძაფიც გავიწყვიტა.

დუმბილი დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ჩვენი ყურადღება უჩვეულო სურათს არ მიეპყრო: სამ მწკრივად მდგარი ოციოდე ქალი რიტმულად ასრულებდა ვარჯიშებს.

— ჩვენი მეჩაიეები არიან, — აგვიხსნა მძლომა, — პლანტაციებში შექმნდათ სასუქი და ახლა ისვენებენ.

— ისვენებენ?

— დიახ. ამ ბრიგადის წევრები ჩაის კრეფის პერიოდშიც ატარებდნენ საწარმოო ტანვარჯიშს და, როგორც ხედავთ, მაშინ მიღებულ ჩვევებს არც ახლა ღალატობენ — შესვენებაში ჩაურთავთ ვარჯიში.

მძლოლი მეურნეობის კანტორაში მისვლამდე სულ იმას გვიყვებოდა, თუ პირველად როგორ უნდობლად უყურებდნენ აქ მეჩაიეები საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას, როგორ გაუბრუნდნენ ქალები მათთვის „მუუფ-

რებელ“ საქმეს და დადებითი შედეგების მიღების შემდეგ იგივე ქალები როგორ უწევდნენ აგიტაციას დანარჩენი ბრიგადების წევრებს ზედიზედ მოკიდათ საწარმოო ტანვარჯიშისათვის.

— როგორც ჩანს, მეურნეობაში კარგი ფიზკულტურული კოლექტივი უნდა გქონდეთ!

— მაშ! ჩემი კოლეგა გიორგი წულუკიძეა ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე, ნახეთ ის და მერე ილაპარაკეთ მეურნეობის ფიზკულტურულ საქმიანობაზე, — მოგვცა უკანასკნელი რჩევა ჩვენმა ყოვლისმცოდნე მეგობრმა.

როცა გ. წულუკიძე ვინახულეთ, მან მეურნეობის სპორტული საქმიანობის გაცნობა სტადიონიდან დაგვწყვიტინა. ფეხბურთის მინდვის კოხტად მოსწორებული ზედაპირი, ორივე კარის წინ საგულდაგულოდ დაყრილი ნახერხი და სტადიონის ირგვლივ შემოვლებული ჯებირი იმის უტყუარი დასაბუთება იყო, რომ ფეხბურთს აქ მოქალაქეობის სრული უფლება ჰქონდა მოპოვებული.

ეს სპორტი აქ საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს. ფეხბურთის გუნდმა რეგულარული ვარჯიშის შედეგად „კო-

ლმეურნის“ რაიონული საბჭოს გათამაშებაზე გარდამავალი თასი და ჩემპიონობა მოიპოვა.

გუნდის წევრები — აგროტექნიკოსები რ. მორჩილაძე და ზ. ჯორბენაძე მეორეთანრიგისნეპი არიან, ხოლო მათი თანაგუნდელები — მესამეთანრიგისნეპი.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აქ მართო ფეხბურთის განვითარებული, რაიონის მძლეოსანთა შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიან აქაური ქალები ნ. საპრიკინა და ლ. ჩელდევია, მ. ვაშაიძე ქობულეთის რაიონის საუკეთესო ლეობურთელია, ფრენბურთელი გ. ყივლური კი აქარის ნაკრებში შეიღობს. საერთოდ, ფრენბურთელთა გუნდმა, რომელსაც აგრძობა მიქ დიდძელ ავარჯიშებს, აქარის საიუბილეო სპარტაკიადზე პირველი ადგილი დაიკავა და ფეხბურთელებთან ერთად საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ბათუმში საიუბილეო სპარტაკიადზე მონაწილეობის დროს ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდები თავიანთი დისციპლინითა და სამაგალი-

თი ჩვევებით ისე გამოიჩინდნენ, რომ თითოეულს საჩვენებელი იყვნენ.

მეურნეობაში არიან კარგი ველოსიპედისტები, მაგისტრი ჩოგბურთელები, ტყვიით მსროლელები, ძალოსნები და სხვანი, რომლებიც ყველგან წარმატებით იცავენ თავიანთი კოლექტივის სპორტულ ღირსებას.

... ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ი. ფუთურის ძის კაბინეტში საქართველოს მინისტრთა საბჭოს გარდამავალი დროშა ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის, მეურნეობის კლუბის გამგის ოთახში მომდგრალთა გუნდის დიპლომა აქარის თვითმომქმედ კოლექტივებს შორის გამარჯვებისათვის მიღებული, ხოლო ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარის გ. წულუკიძის კაბინეტის სვესეა მეურნეობის სპორტსმენთა მიერ მოპოვებული თასებითა და ქების სიგელებით. ამ მეურნეობაში ჩაეყარა პირველად საფუძველი მეჩაიე ქალთა შორის საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას საქართველოში და ყველაფერი ეს ერთ მიზანს ემსახურება: ალაგობს კეთილდღეობას.

ბ. სასონაძე

გაუზინ ერივანში

მარტს ერევანში შედგა სსრკ-ის ფეხბურთელთა პირველი ტურნამენტის საწვრთნელი მატჩი ერევანში „სპარტაკთან“.

მედიკალიზაცია

25 და 26 თებერვალს თბილისის საკავშირო „სტენდზე“ კვლავ მსხვილი თოვლის ხმა, მელმაც მაყურებლებს ამცნო სტენდო სროლაში 1961 წლის მონის გახსნა. შეჯიბრებამო-მლოდენენ „მონკავშირის“ I და II ტურნამენტები, აგრეთვე ახალგაზრდა მოსწავლეები.



შეხედეთ ამ ბაკურიანელ ბიჭუნებს. მათ უკვე დაიწყეს ყოველგვარი მწვრთნელის გარეშე ჰოკეის თამაში, „ველური“ გუნდით ჩამოყალიბდა. მათგან მალე შეიქმნება ისეთი კოლექტივი, რომელიც ახალგაზრდა რესპუბლიკას და როგორც სპორტის სხვა სახეობებში, აქაც თამამად გავა საკავშირო სარბიელზე.

სურათში: ბაკურიანელმა ბიჭუნებმა ვ. მხეიძემ (მარცხნივ) და ა. სტეფანიანმა ჰოკეის ჩოგნებიც იშორეს, ციგურებიც და როგორც კი განთავისუფლდება საციგურაო, დასდევნ შიბას. ფოტო მ. ზარგარიანისა.



მესამე გამარჯვება

რა შეიძლება ითქვას მატჩზე, სადაც ერთი გუნდი აშკარად ჯობის თავის მეტოქეს, რეალზაცისა და მეტოქის ყველაფერს, რაც მას ტექნიკურ და ტაქტიკურ არსენალში არაა. ასე იყო 28 თებერვალს თბილისის „ბურვეესტნიკის“ ქალთა გუნდსა და „კლასის დებიუტანტ“ გუნდის თანაკლებლების მატჩის ნამდვილი ბრძოლა მხო-

ლოდ თამაშის პირველ წუთზე გაიმართა, როცა თბილისელების მიერ ორჯერვე ზუსტად ნატყორცნი ბურთით დაგროვილი 4 ქულა მათმა მოწინააღმდეგეებმა წამსვე გაათანაბრეს. ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად მასპინძლების მხარეზე გადავიდა. ანგარიში თბილისის კალათბურთელთა თითქმის ყოველი კომბინაციის გათამაშებისას იცვლებოდა, რადგან ისინი მინსკელთა ფარის ქვეშ ძალზე თავისუფლად გადიოდნენ და ქულას ქულაზე აგროვებდნენ. თუ კი მოსკოვის „დინამოსთან“ ჩვენი კალათბურთელები ერთობ შეზღუდულად მოქმედებდნენ, რადგან დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ, ამჯერად იურიევას, ჯანელიძისა და საბადაშვილისათვის ძალზე იოლი გამოდგა მინსკელთა ფართან გასვლა და ბურთების კალათში ზუსტად ტყორცვა. ამიტომ იყო, რომ პირველ ტაიმში იყო მომენტი, როცა თბილისელები წინ იყვნენ ჯერ 14,18 და შემდეგ 22 ქულითაც.

ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა მიიღო თბილისის „ბურვეესტნიკი“. ლენინგრადელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ მთელი თამაშის მანძილზე და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 3:0 (15:6, 15:5, 15:4).

XXII სანჯარაკო ჩემპიონატი

მიცხრა ტური. ლიდერობამ ერთგვარი გათამაშება იცის და ლიდერს ცა ქულად და მიწა ქალამნად არ მიანია ხოლმე. ამიტომ, რომ მომეტებული სითამამით ატარებს პარტებს გუფელი. მან ლომიას ძველინი და დაცვაში უარესად მწვავე თამაში შესთავაზა. ლომია არ ეკუთვნის მშობრთა რიცხვს და იგი გაბედულად აყვავა ოსტატს „სამკლდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლაში პაიკის შეწირვით გუფელმა დაიწყო იერიში ცენტრში დარჩენილ მეფეზე.

გათამაშდება „მეგობრობის თასი“

მთავრად თბილისელთა გამარჯვებით ანგარიში 38:16. შესვენების შემდეგ სურათი არ შეცვლილა. გამუდმებით უტყვედნენ საქართველოს კალათბურთე-



გენს, მონაწილეობას მიიღებენ სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა ხუთ-ხუთი გუნდი, თვითულ გუნდში გამოვა 6 ველოსიპედისტი.

ბათუმის დასასრულს. ბაკურიანი. „დინამოს“ ჰოკეის მოედანი. საქართველოს საკავშირო ბელორუსია (ნაკრები) 28 თებერვალი. ვალი. 0:13 (0:6, 0:5, 0:2). I მატჩი — 4:11 (2:3, 2:0, 1:2) მსაჯე — ბი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი მ. ფრიდმანი (მოსკოვი) და II კატეგორიის მსაჯი ა. ვაშაქიძე (თბილისი).

**ჩემპიონატი,
შესარჩევი მაგნიტი**


საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო „სტად ფრანსისა“ და „მონაკოს“ მატჩი. ლიდერს — „მონაკოს“ უაღრესად ესპორტება ორი ქულა, მაგრამ მოწინააღმდეგე მსოფლიო მინდორზე ძლიერად ითამაშა და წაართვა ქულა ჩემპიონატის მთავარ კანდიდატს — 1:1. ლიდერის კონკურენტებმა „რეიმსმა“ და „რესინგმა“ მოიპოვეს თავიანთი მორიგი გამარჯვებები. პირველმა დაამარცხა „ნანსი“ — 3:0, ხოლო მეორემ — „ლანსი“ — 3:1.

ამჟამად „მონაკოს“ აქვს 41 ქულა. „რესინგი“ თითქმის კვალიდაკარგულ მიპყვება „მონაკოს“ 39 ქულა, „რეიმსი“ საგრძობლად ჩამორჩა და აქვს 36 ქულა.

იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ინტერნაციონალემ“ მხოლოდ უაღრესად მწვავე ბრძოლის შემდეგ დაამარცხა „უდინეზე“ — 1:0. ასეთივე ანგარიში იქნა ფიქსირებული „იუვენტუსისა“ და „სპალის“ შეხვედრაში, რომელიც „იუვენტუსის“ გამარჯვებით დამთავრდა. ეს გადაწყვეტი ბურთი გაიტანა ჯ. ჩარლზმა.

არგენტინის პროფესიული ლიგის უძლიერესმა გუნდებმა „ხოვა ხურონესმა“, „რივერ პლატამ“, „ინდეპენდენტემ“, „რესინგმა“, „სან ლორენსომ“, „ხურაკანმა“ და „ველეს სარსფილდმა“ მოითხოვეს შემცირდეს არგენტინის ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა თორმეტამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კლუბები იმუქრებიან გამოეყონ ლიგას და ცალკე ჩატარონ ტურნირი ერთმანეთს შორის.

ამ დღეებში შედგა მორიგი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში. მექსიკისა და კოსტა რიკის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.




ამ სურათზე აღბეჭდილია საბჭოთა კავშირის პოკეისტთა ნაერები გუნდი, რომელიც შვეიცარიის იმყოფება მსოფლიო პირველობაში მონაწილეობისათვის.

ფოტო ვ. ვოლკოვისა.

დადგინდა გუნდების სია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში თავის გათამაშებაში. ესენია: „პალმერასი“ (ბრაზილია), „ინდეპენდენტე“ (არგენტინა), „პენიაროლი“ (ურუგვაი), „კოლო-კოლო“ (ჩილი), „უნივერსალი“ (პერუ), „ინდეპენდენტე დე სანტა-ფე“ (კოლუმბია), „ლა სალე“ (ვენესუელა), „სან ხოსე დორო“ (ბოლივია), „ბარსელონა“ (ეკვადორი) და „ოლიმპია“ (პარაგვაი).

**უაგუაიკარე გარდაწყვეტილია
გათამაშების ბაზი**

ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის დასასრულამდე დარჩა 8 ტური. მაგრამ აქ ფაქტურად ყველაფერი გადაწყვეტილია. 22-ე ტურში დამარცხება განიცადა მადრიდის „ატლეტიკომ“ (0:1 სევილიის „ბეტისთან“), რომელიც ერთგვარ



კონკურენციას უწყველად ლიდერს — „რეალს“. „რეალმა“ მოიპოვა კიდევ ერთი გამარჯვება „გრენადასთან“ — 5:0 და დიდი შანსები აქვს დაიბრუნოს ესპანეთის ჩემპიონის წოდება, რომელიც მან ორი წლის წინათ დაუთმო „ბარსელონას“. გასულ წელთან შედარებით ამ კოსმოპოლიტური გუნდის შემადგენლობა უცვლელია. ახალი ფიგურა მხოლოდ მეკარე ვისენტე, რომელიც ცვლის არგენტინელ დომინგესს. მეორე ადგილი განადგებულ აქვს „ატლეტიკოს“. მხოლოდ მე-

სამე ადგილზეა გასული წლების ჩემპიონი „ბარსელონა“, რომელმაც ვერ მოუგო შეხვედრა აუტსაიდერ „ელბეს“ (3:3).

**ინგლისის
თასზე**

ინგლისის თასის მეოთხედფინალში კენკისურის თანახმად ერთმანეთს შეხვდებიან: „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „სანდერლენდი“ (ინგლისის ყოფილი ჩემპიონი, ამჟამად თამაშობს მეორე ლიგაში), „ნუკასლი“ (პირველი ლიგა) — „შეფილდ აუნაიტედი“ (მეორე ლიგის ლიდერი, განადგებულ აქვს პირველ ლიგაში დაბრუნება), ინგლისის ჩემპიონი „ჩერნლი“ — „შეფილდ უნსდი“, „ბარსლი“ (მესამე ლიგა) — „ბირმინგემ სიტა“ (პირველი ლიგა). თასის გათამაშების ყველაზე

**პირველი
„მსოფლიო“
კარიერა“**

მსოფლიოს აბსოლუტორმა ჩემპიონმა კრიკეტი „პატრ-სონმა“, რომელსაც 13 მარტს მატჩი აქვს იმ იტალიის წინააღმდეგ, მხადება და შაიამაბიში (ფლორიდის შტატი) გაემგზავრა.

მსოფლიო ჩემპიონს თან ჩამოაკვია რამდენიმე ზანგი და თერთმინანი ექიმი, მასაიისტი და მწვრთნელი. სწორედ აქ გამოადგა პატრსონს მატჩის ხელშეწყობაში შეტანილი პუნქტი 10 ათასი დოლარის გადახდებიან შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნებოდა რასობრივ დისკრიმინაციას.

ჩამოსულებს აუკრძალეს ერთად ყოფნა, ხოლო მსოფლიო ჩემპიონს უარი უთხრეს რესტორანში თავის მწვრთნელთან ერთ მაგიდასთან ჯდომაცეკო.

რასობრივი დისკრიმინაციის ამ გამოვლინებისათვის პატრსონმა მოითხოვა ხელშეკრულების თანამად 10 ათასი დოლარის გადახდა და განზრახული აქვს ეს თანხა გადაუზღავნოს „აშ-ს ფერალდინანთა“ თანასწორულეობისათვის თვის მეტროლ ასოციაციას.

პატრსონის ამ სანართლიანმა განცხადებამ საგონებელში ჩააგდო მატჩის მომწიფონი. ვინაიდან მათ არ იციან საიდან გამოძებნონ ეს თანხა — დააწყონ იგი ქალაქის ხელისუფალთ, რომელთაც არ დაიცვენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, თუ საერთაშორისო მიაკითხონ.

დიდი სენსაცია იყო მისი მფლობელის „ველვერკემპტონ უონდერრეისი“ დამარცხება მეორე ლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერ „პალმერსტილთან“, აგრეთვე მესამე ლიგის სრულიად უმნიშვნელო კლუბის „ბარნოლის“ დიდი წარმატება.

რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომლის ავტორები ო. მექვაბიშვილი, ო. ხინთიბიძე და რ. ცხომელიძე გვთხოვენ მოვუხსნათ ფეხბურთში პირველი მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის 1928 წლის კონგრესმა, რომელიც ამსტერდამში მოეწყო, გადაწყვიტა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარებინა 1930 წელს ურუგვაიში. ამ ადგილის არჩევანს წინ უძღოდა ხანგრძლივი ცხარე დავა, ვინაიდან იმ დროს ევროპა აღიარებული იყო მოწინავე საფეხბურთო კონტინენტად, სადაც ეს თამაში კულტივირებული იყო ყველა სახელმწიფოში, ხოლო სამხრეთ ამერიკული ფეხბურთი ჯერ მხოლოდ იწყებდა თავის გაზს საერთაშორისო სარბილზე. მართალია, 1928 წელს ურუგვაის ფეხბურთელებმა დიდ წარმატებას მიიღწიეს ოლიმპიურ თამაშებში და დაიკავეს კიდევ პირველი ადგილი, მაგრამ ევროპაში ურუგვაელთა გამარჯვებას შემთხვევითობად თვლიდენ.

საბოლოოდ, მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება ურუგვაიში გადაწყვიტა იმ გარემოებამ, რომ ეს ქვეყანა სწორედ მაშინ ზეიმობდა თავისი ერთგული დამოუკიდებლობის 100 წლისთავს. ევროპამ თავისებური ბოიკოტი გამოუტყდა ფიფასს გადაწყვეტი-

ლებს და მონტევიდეოში ჩავიდა მხოლოდ ოთხი გუნდი (საფრანგეთი, იუგოსლავია, რუმინეთი, ბელგია).

გათამაშების მონაწილე გუნდები დაყოფილ იქნენ 4 ქვეჯგუფად, სადაც გამარჯვება მოიპოვეს არგენტინელებმა, ამერიკელებმა,




ურუგვაელებმა და იუგოსლაველებმა. ნახევარფინალური მატჩები დამთავრდა ერთნაირი ანგარიშით — 1:1, — არგენტინამ დაამარცხა აშშ, ხოლო ურუგვაიმ — იუგოსლავია. ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ ურუგვაისა და არგენტინის გუნდ-

ები. დააწყისში უპირატესობა არგენტინელთა მხარეს იყო, მაგრამ თავიანთი გულშემატკივრებით განხვევებულმა ურუგვაელებმა შექლეს ანიციატივის ხელში აღება, დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 4:2 და მოიპოვეს კიდევ პირველი ჩემპიონის წოდება.

ბორჯომელი ა. გვარამაძე კითხვობს: ვინ იყვნენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს პირველი ჩემპიონები ჭადრაკში და რა საქმიანობას ეწევიან ამჟამად ისინი.

საბჭოთა კავშირის I ჩემპიონად მიჩნეულია 1920 წელს გამართული რუსეთის ჩემპიონატი. ამ ტურნირში ჩემპიონის სახელი მოიპოვა 28 წლის გროსმაისტერმა ა. ალიოხინმა, რომელმაც შემდეგ მსოფლიო ჩემპიონიც გახდა.

საქართველოს პირველი ჩემპიონი გაიმართა 1928 წელს. I-II ადგილები გაიყვეს ვ. გოგლიძემ და ნ. სოროკინმა. სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო ოსტატი ვ. გოგლიძე, რომელიც ამჟამად 56 წლისაა, მუშაობს თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა საქარაკო სპორტული სკოლის დირექტორად. სპორტის ოსტატი ნ. სოროკინი 61 წლისაა და მუშაობს სპორტსაზოგადოება „ბურვესტნიკის“ ინსტრუქტორად ჭადრაკში.



კ რო ს ვ ო რ დ ი
პირველთადად: 1. საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ვაჟი; 2. ქართველი მწვრთნელი ჭიდაობაში; 3. ქართველი ოსტატი ქალი ბაქროს ტყორცვაში; 4. ასპარეზობის დასასრულის განათლების განყოფილების ბავშვთა საქარაკო სპორტული სკოლის დირექტორად. სპორტის ოსტატი ნ. სოროკინი 61 წლისაა და მუშაობს სპორტსაზოგადოება „ბურვესტნიკის“ ინსტრუქტორად ჭადრაკში.
მეორეთადად: 1. სპორტული ფორმა; 2. ქართველი ფეხბურთელი; 3. ქართველი ფეხბურთელი; 4. ცნობილი მეცნიერი, საბჭოთა ალბინიზმის ფუძემდებელი; 5. თამაშის შედეგი; 6. ჩვენი რესპუბლიკის ოლიმპიელი ცურვაში; 7. ქართველი კალათბურთელი; 8. ქართველი ფეხბურთელი. შეადგინა ბ. მერაბიშვილმა